



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაცნე

20

გამოსვლის 51-ე წელი, (№ 1498). ოქტომბერი, 1974. ფასი 20 კაპიკი.

— კალაპოტით მთლი, მოგაწერეთ ხელი! ნახე, რა ტუფლები მიიღეს!

გ. ჯ. ლომასი





აფხაზეთის კულტურის დღეები თბილისში



შაჰოაღანი

ჯიბედ — ჯიბე!
 ენად — ენა!
 სკამად — სკამი!
 ტანად — ტანი!
 უსახელო როდი იყო,
 ერქვა ამ კაცს
 შემომტანი!
 საოცარზე საოცარი
 მაღა ჰქონდა,
 გემო ჰქონდა.
 დღენიდაგ,
 თვენიადაგ
 შემომტონდა,
 შემომტონდა!
 უმალ მისი
 მისწვდებოდა.
 შუბლი — დაფნას,
 ხელი — ვარსკვლავს.
 მარგალიტის
 თხილსა ჰკრეფდა,
 მობერტყავდა
 ოქროს კაკალს!
 ფეხის ნეკვეტ
 არ ეკიდა
 სხვისი დარდი,
 სხვისი ბინა.
 რის ჩიტის რძე?
 ჩიტის მაწონს
 მიირთმევდა
 ძილისწინა!
 ანფასშიაც,
 პროფილშიაც
 გაიბღინძა,
 გაიღურსა.
 ცივ ნიავს
 არ აკარებდა:
 ფულით — სკამს და
 სკამით — ფულსა!
 ჯიბედ — ჯიბის!
 ენად — ენის!
 სკამად — სკამის!
 ტანად — ტანის!
 ჯიბეც,
 ენაც,
 ტანიც,
 სკამიც
 აყირავდა
 შემომტანის!..

ზაზა პაციაშვილი



ნახ. პ. ლოლუხანი

— მიხილეთ თქვენს ანსამბლში, ოთხმოცი წლისა ვარ, ვმღერი, ვპირაკ და ფეხიც
 ცმრებზე ვღებები!
 -- ერთი ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ შემოიარეთ, ყმაწვილო!

იხილეთ აქსესუარსა

თუმცა რვა იანვარი იყო, მაგრამ ოჩამჩირის სამომხმარებლო კოოპერაციის № 48 მაღაზიაში არავის სციოდა. იღვა მშვენიერი ამინდი, ამოწმებდნენ მაღაზიას, იყო რევიზორებისა და მაღაზიის მუშაკების გულთბილი შეხვედრა. განა, სხვანაირად კი შეიძლებოდა? აქ ხომ ძველი ნაცნობ-მეგობრები ხვდებოდნენ ერთმანეთს!

კოოპერაციის ბულალტერ-ინვენტარიზატორი გრიგოლ ალანია და რევიზორი დავით ნადარეიშვილი, პირისახეზე ღიმილგადაფენილები, თბილად ესაუბრებოდნენ მაღაზიის ბრიგადირს — ოტელო კოტუას.

— პირველ სექციას სულ რაღაც 43 მანეთი და 59 კაპიკი აკლია, — თქვა, სხვათა შორის, ალანია.

— ხომ ვიცი მე რიმა ჯვაბავას ხასიათი? დაარიგებდა ცხვირსახოცებს საჩუქრად და ვალი დაედებოდა, აბა რა? — შეაწია სიტყვა უფროსმა რევიზორმა ნადარეიშვილმა პირველი სექციის უფროსს — რიმა ჯვაბავას.

— ცხვირსახოცების გულისთვის ქალის დახრჩობა ვის გაუგია? — ძალიან გაიკვირვა ოტელო.

სარევიზიო აქტიდან აფრენილი ანგელოზი რიმა ჯვაბავა ოჩამჩირის უღრუბლო ცაზე დანავარდობდა...

ზეიმობდნენ მეგობრები, ზეიმობდა პროტექციონიზმი, თუ... კოოპერაციის ხელმძღვანელობამ „პრინციპულ“ და „მაღალ დონეზე“ განიხილა კადრების საკითხი და რიმა ჯვაბავა სათამაშოების სექციის გამგედ გადაიყვანა. (ოჩამჩირის სამომხმარებლო კოოპერაციის ყოფილ და ახალ უფროსებს, საერთოდ, უყვარდათ და უყვართ „ლონისძიებანობას“ თამაში!).

ამავე მაღაზიის სპორტული სექციის გამგედ დაინიშნა ფროსია გაბილია. სწორედ ის ფროსია, რომელმაც 1971 წელს ტამიშის მაღაზიაში გაფლანგა ათას ორასი მანეთი, სწორედ ის ფროსია, რომლის „საქმეებს“ გამოეხმაურა ჟურნალი „კროკოდილი“ და გაზე-

უესკროპი "მოლონა"

მივიღეთ რიგელი კოლეგების წერილი: ამ რამდენიმე ხნის წინათ ქუთაისში ჩასულა მოქ. მ. ელ-ნე, შეუძენია ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის ნაწარმი — ქალის ჩექმა. შეუძენია და გახარებია კიდევ. სულ სიცილ-სიცილით დაბრუნებულა რიგაში. ის იყო, ყველა ნაცნობ-ნათესავისთვის უნდა ჩამოევლო, აქაოდა, ეს რა ძვირფასი რამ შევიძინეო, რომ... არა, გზაში არ დაღლილა, ჩექმას უმტყუნია, შესაკრავი „მოლონა“ ელვისებურად მოშლია, მისულა შინ და დადარდიანებულა.

— ჩემი პატრონი კი ხარ და, მიჭირს შენთან განშორებაც, მაგრამ გამაგზავნე ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, იქ მე წუნდებულების საწყობში შემაგდებენ, შენ კი ახალს გამოგიგზავნიან! — ასე უთქვამს ჩექმას. გულახდილობისათვის დიდი მადლობა გადაუხდია პატრონს მოღალატე ჩექმისათვის და მიმდინარე წლის 22 იანვარს ქუთაისში გადაუგზავნია.

გასულა თვე! — არც ჩექმა და არც პასუხი! გასულა კიდევ ორი თვე! — არსაიდან ხმა! სიჩუმე კარგია, მაგრამ სამარისებურისა რა მოგახსენოთ! ჩექმის პატრონს უფიქრია, გავაგზავნი დეპეშას, მოვაგონებ, ვნახოთ, რა შედეგს მივიღებო.

გავიდა კიდევ სამი კვირა და ჩექმის პატრონმა მიიღო... ალბათ, გეგონათ, ქალის ახალი ჩექმები, ან მოკრძალებული წერილი, დიდი ბოდიში, ჩემო ბა-

ტრონო? ან, იქნებ, ფული. პატრონმა რომ გადაიხადა ჩექმაში? არა, ეს გახლდათ საფოსტო გზავნილობა — 7 მან. 31 კაპ., იქვე ლაკონიური წარწერაც: „ფეხსაცმლის ქვ. 242“. რატომ 7 მან. 31 კაპ. და არა 8 მან. 19 კაპ., ან 9 მან. 11 კაპ., როცა მას 26 მან. აქვს გადახდილი, არაფერი რომ არა კთქვათ გადაგზავნის ღირებულებაზე?

მოქ. ელ-ნეს უფიქრია, იქნებ ეს ამოცანა „ნიანგის“ რედაქციამ ამოხსნასო.

ამ ამოცანის ამოსახსნელად ჩვენ დავიხმარეთ ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის ღირექცია. პასუხიც მალე მივიღეთ: „...აღნიშნულ შემთხვევაში მოქ. ელ-ნეს შეცდომით გადაეგზავნა დაბრუნებული ჩექმის საბითუმო ღირებულება 7 მან. 40 კაპ., რაშიც დანაშაული მიუძღვის კომბინატის პრეტენზიონისტ ვ. შაროვას. ეს შეცდომა გამოსწორებულია და მოქ. ელ-ნეს 16 აგვისტოს № 343 ქვეთრით დამატებით გაეგზავნა 19 მან. 09 კაპ., ხოლო პრეტენზიონისტი შაროვა მკაცრად იქნა გაფრთხილებული“.

ყველაფერს აჯობებდა, ჩექმა ხარისხიანი ყოფილიყო, ან თავის დროზე გადაეგზავნათ საცალო ღირებულება პატრონისათვის და ქუთაისის იარღიყით გამოსული საქონელი ხუმრობის საგანი არ გამხდარიყო რიგელი მეგობრებისათვის.



უსიტყვოდ

შანი სინარულიძე

თი „სოვეტსკაია აბხაზია“, სწორედ ის ფროსია, რომლის შესახებაც მკაცრად იმსჯელა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, სწორედ ის ფროსია, რომელსაც აეკრძალა ვაჭრობის სისტემაში მუშაობა. მოდი და, ნუ ირწმუნებ პროტექციის ყოვლისშემძლეობას!

როგორც აზრობენ, ზღაპარშიაც კი ყველაფერს დასასრული აქვს:

...თუმცა 3 ივლისი იყო, მაგრამ ოჩამჩირის სამომხმარებლო კოოპერაციის № 48 მაღაზიაში ყველას სციოდა. იდგა ცუდი ამინდი, ამოწმებდნენ მაღაზიას. ოჩამჩირის მილიციის მუშაკებმა და „აფხაზ-კოოპკავშირის“ რევიზორმა ირაკლი ლომიამ რიმა ჭვაბავას 22 525 მანეთი და 29 კაპიკი დანაკლისი აღმოუჩინეს, ხოლო ფროსია გაბილაის, დიდ დანაკლისთან ერთად, დიდ „მარცხენა“ საქონელიც უპოვეს.

გაშიშვლდა პროტექცია და ოტელოს ჩარხიც ბედუქულმა გადატრიალდა!

კონდრატი უბილავა

ორმოცდახუთი ოჯახი ვითხოვთ თბობუნქტის გატანას, — სარდაფში რომ აგვიშენეს ეს ჯოჯოხეთის მანქანა! რაღაც თორმეტი წელია, ყური ბალიშზე ვერ დავდე. ვის ვეწირებ, მითხარით! — თვალთ მანცა ვხედავდე?! ხუთი მოტორი ტრახტრახებს, ძნელი არ არი მიგნება. ზედა სართულზე ვერ ძლებენ, ქვედაზე რაღა იქნება? აქედან ცხელ წყალს, გათბობას უნაწილებენ მთელ კვარტალს. გუგუნ-გრიალი არ წყდება, დღისით და ღამით, ჩემს კართან ვერც ნათესავი შემოდის! ვეღარ ძლებს!.. მისი ბრალია? ამ ლექს-საჩივარს როგორ ვწერ, თვითონვე მიკვირს ძალიან! წყალი საძირკველს ჩაუდის; დახეთქილია მილები, სიცხეც გვაწუხებს, ხმაურიც, თან შიშისაგან ვიღვეით. სარდაფი, საესე ცხელი წყლით, გვაქვს რა ხანია! ეგრე ვართ! გვიშველეთ, სანამ ეს სახლი თავზე არ ჩამოგვეგრევა! ამ თბილთბომეურნეობის პასუხმა ძალზე აგვანთო: „კი გავიტანთო, ბატონო, ცოტაც გვაცალონ ამათო!“ მხოლოდ თორმეტი წელია, ასე გვპირდება სუყველა. თუ შევაწუხეთ, გვეტყვიან: „ასეთ წვრილმანზე ნუ ღელავთ!“ პატივცემულო ნიანგო, მართო შენ გიმხელ გასამხელს: ვინც ეს თბობუნქტი დაგვება, ჩვენს სახლში გადმოსახლეთ! თუ მისამართი არ იცის, რათა ჩვენს კორპუსს მიაგნოს, მოტორები რომ დმუიან, იქ მოიყვანე, ნიანგო!

ვაჟა-ფშაველას პროსპექტის IV კვარტალის IV კორპუსის III სადარბაზოს მცხოვრებთა დავალებით შოთა ხოდაშენლი

იოსებ ბერიძის წიგნი



— ამ სურათს მთელ სრულს მივრედა და მინამ იტყვიან, გველა მშავაო?!

ათონადილ აპარაზიშილი

ის ლაქ კომარში გაატარა სევასტოპოლში... ჩაეცხრა... ახლა სკანდინავიის... მისი მშობლები... ახლა სკანდინავიის...

პროტეპტორები

პროტეპტორი რა მოკლე ხელი, ყველა ერთმანეთს წა... თესვით აღმოჩნდება... — მე ვერაღ მფრის დროს იყო ნახევარპროტეპტორი...

— შენ, სევასტოპოლში... — ნაღდი ხაში? — ციციანი ხომ? სად დაიკარგა, შე კაცი?!

— პოლიკარპოვი, სამარცხი უფროსად რომ მყავს... — დედაშობის წინაღობები... — მთელი კლასი... — კაცობრივად, უფროსად... — კაცი, აბა, უფროსად... — კაცი, აბა, უფროსად... — კაცი, აბა, უფროსად... — კაცი, აბა, უფროსად...

„ყოვლისგორდენი“

ბერი გვიჯას „ყოვლისგორდენი“: ბელა, სარა თუ სუსანა... სხვის თვალში ბუნებრივ აზრს, თავის თვალში — ბუნს არა... ადამიანის ვაიკოვსა, აბა; რომელი თაკობის? თუ საჭიროა მოყვალთა, ეჭვები ახალ სახეობა...

„ბაზიზმი“ ბაზიზ

ბაზიზმის განყოფილებაში ათობირობენ: — მე ვიციან პირადღ, ჩინებულო სეპე-ციალიტა! — ამბობს მეთებზე... — მე ვიციან, გამკაცრული კაცია — ევერს ურავს მესამე... — მეც ვიციან, იშვიათი მუშაია! — თავს ურავს მეორე... — თუ ასეა, თანამდებობაზე უნდა დაინშინოს... — იტყვიან, ნაცნობობით მიიღეს სამსახური...

მზიანკა

— რაა, ქალო, ეს? — შეატრიალა ხელმწიფე... — მოდი, ჩემო ტრიფონ, მოდი, პლატონი! ხომ მოგონს? — ტრიფონი ერთი უწერი კაცია, რასაც მისი-ანები ყოველთვის თანხმობის ნიშნად იყენებენ... — რა მიეცი? — 200 მხეთი... — შე ქალო, მაგ ფასად, პლატონისმს კი არა, მთელ ვაგზას ვიყიდდი... — ბაზიზმ! — გაამოთ, ბატონო ბიენტი, აბანო!

— შენ რა გინდა, ბიუო, აქ? — სიტა არ იყო, შეცნობდა ბიენტი... — სახლო დავიკრე, მინდოდა მეკობრა, არას იქნო, როგორ შინაგდებო? — და თქვენმა მთელმა მითარა, აბანოში წასულიყო... — ბიუო, აქ როგორ მომავინო? რა იცოდი, შეშველი პირველში ვიყავი, შეშველი მეორეში თუ... — ჩვენ, ხელმწიფეები, აბა, რისი მკენის ვართ, ბიენტი იზიკონი, ყველაფერ ვიყავი, თანამდებობა გარეგნობა, შესახებდობა, ახანამდობა, დამსახურება... — რა იყო, სასწრაფო სეპეა რამე? — ახლა, კაცმა რომ თქვას, ისეთი არაფერი, მაგამა აბანოშია, რომ გავივი, შე მინცი მოვიკლდე ჩავთავივე ჩემი თვით, მოუსულთა-ვი და შეთქვა ერთი თბილი სიტყვა... — ბაზიზმ! — გაამოთ, ბატონო ბიენტი, აბანო!

ურაკი

• „რა ჩემი საქმეა“ კაცი მოკლაო... • სურათი სწორედ ქუჩის მოსდევს... • ბაზი მდინარეში თავს ჩიხობდა და... • ვისაც მოსწონს ისეღობი... • წიქვად და... მიცვლებულს ბედი არ ქნიათ... • ტრაგედიის ცილი გაეგებ და... ძალთ გაჯგულო... ბივი ბოზაძე

ლაქიბოქმი

• ბიკრამბოზა — მთხოვრობის ყარალური ფორმა... • შნა — ორგანო, რომლის საშუალებითაც ადამიანები კანონის ამყარებენ ერთმანეთთან და წაშუბენ ყოველ... • პრტამი — შინაური ფრინველი, რომელსაც ცეცხლს უკლავ... ალაზნორო თაბაში

გელა თელია

ს. შ. შორაბიძის



— თანაგობრივად ბავშვთაგანს დაგვას ითხოვს მთელს და ბავშვთაგანს მთელს და ბავშვთაგანს მთელს და ბავშვთაგანს მთელს...



— დირექტორს შენი დირექტორა უნდა... — ჩემი? აქ მირჩევათ აბანო... — კი! აბანო, ციხისად და მდინარის ბაზიზმად...



— ჯერ მთავრად, მათი მთავრად მიიღო სიტყვა... — ნუ შიკვებ მამას ურის ბაზიზმად, კალბორ კალბორ... — ჯერ მთავრად, მათი მთავრად მიიღო სიტყვა... — ნუ შიკვებ მამას ურის ბაზიზმად, კალბორ კალბორ... — ჯერ მთავრად, მათი მთავრად მიიღო სიტყვა... — ნუ შიკვებ მამას ურის ბაზიზმად, კალბორ კალბორ...



— კალიან ხელე მთა ბაზიზმ! — თქვენს ბავშვთაგანს მთელს და ბავშვთაგანს მთელს...

პრაგმატი

პრაგმატი პრეზიდენტში დირექტორი აღმ-ფროთებით მიმართავდა პრეზიდენტის წევრებს... — ამ ციხეს სულ ამაში მიიჩნებოდა, და... — მთავარი სათავეში მინახს, ზერინას და უსანსკელი ვაჭრობილივინა მიეცი... მეც მიეციე... — ხომ ზედვით, როგორ გვაყარობენ? რა გინდობდა, რას გადავიკრე? სინებოდა და ეხერია თვისთვის, არ გერიჩოთ!

ათონადილ აპარაზიშილი

ამ ბოლო დროს რაღაც გადამეტებულ ყურადღებას ვიჩენ სასმელ-საჭმლისა და... ტელევიზორისადმი.

აბა, თქვენ წარმოიდგინეთ: მოხვედით სამსახურიდან დაღლილი, გემრიელად ისაღილეო, რბილად, თბილად მოკალათდით სავარძელში და ჩართეთ ტელევიზორი...

გაისმის სასიამოვნო, ნაცნობი ხმები, თანდათან მოგუდულ მრავალქაშიერ... უკაცრავად, მოგუდულ დუდუნში რომ გადადიან და ძარღვები სითბოთი გვესებათ, სხეული გედვენთებათ...

რაო, ჩაგთვლიმათ, ძვირფასო მკითხველო?

ჰოო! აი, მეც მაგ დღეში ვარ!

— ადექი, კაცო, სულ მაგ ტელევიზორის წინ უნდა ამოგდოდე სული? გადამრევს ეს ტიპი! წადი, გაიარ-გამოიარე, დღეს ფეხბურთია, ფეხბურთიც აღარ გაინტერესებს?!

ფეთიანივით წამოვარდი და ტელეფონს ვეცი:

— ალო, ვაჟა ხარ?

— კი.

— რას აკეთებ?

— ტელევიზორს ვუყურებ!

— ფეხბურთზე არ წამოხვალ?

— მოგცლია ერთი შენც! დაჯექი თბილად სახლში, მოიწყვე გვერდით ცივ-ცივი ხილი, ბორჯომი, კაი სიგარეტი... თუ გინდა, ჩემთან მოდი, ერთად ვუყუროთ!

აღარაფერი ვუთხარი, უხმოდ დავუკიდე

ყურმილი- რას ერჩი? მართალს ამბობს კაცი: წახვალ სტადიონზე და ღრიანცელით თავს აგხდინა, დაიწყებენ სტვენას, ლანძღვა-გინებას და, მსაჯის ფინალური სასტვენის შემდეგაც, აღარ დაამთავრებენ. აბა, ადრე ასე იყო? ისეთი ხალხი დადიოდა, რომ სტვენაც დროზე იცოდა და ობიექტური გინებაც. ფეხბურთის ყურებას, დიანაც, რომ ცოდნა უნდა.

ისევ ტელევიზორი დარჩა ძალაში.

ასეა თითქმის ყოველდღე.

ცოლი კი გრგვინავს:

— გამაგოჟებებს ეს კაცი! თეატრში ჩვენ არ დავდივართ, კინოში ათასში ერთხელ თუ მაღირსებ წაყვანას, ოპერას ხომ საერთოდ არ ვეკარებოთ... ადექი ახლავე, ოპერაში წავიდეთ, თორემ!..

ისევ ტელეფონს ვეცი:

— შოთა ხარ? რას აკეთებ ამ საღამოს?

— ტელევიზორს ვუყურებ.

— წამოიყვანე გულიკო და ოპერაში წავიდეთ!

— შენ ხომ არ შეიშალე?

— შოთა, თუ ჩემი ძმა ხარ, მე გეპატიუებით!..

— მეექვსე არხზე...

— კვირას ერთ კარგ პურ-მარილსაც ვკისრულობ!

— მოიცა, სიმონ! ვის რად უნდა შენი პურ-მარილი?! მეექვსე არხზე ლა სკალას „ნორმა“, დაჯექი სახლში, რბილ სავარძელში!.. ოჯახი არ გაქვს?

იმ საღამოს ლა სკალამ თავისი გაიტანა. შაბათ საღამოს კი ჩემი მეორე ნახევარი ფანტომის ტიპის ავიაგამანადგურებელივით დამაცხრა თავს:

— არ დაგინახო ტელევიზორთან, თორემ დავამსხვრევ მაგ ოხერს! ადექი ახლავე! მოჯადოებული ხომ არა ხარ, კაცო?!

— რა დაგემართა, ქალო?!

— ჩაიცვი! დღეს დედამ დარეკა, აუცილებლად ჩემთან მოდითო.

— რა ამბავია?

— არ ვიცი, სიურპრიზია. მაგ ტელევიზორის ცქერას, იქ წასვლა ჯობს...

ცოლისდები და ცოლისძმები საზეიმო იერით შემოგვეგებნენ. სიდედრი და სიმამრი ისე იყვნენ აღტაცებულნი, თითქოს იმ დღეს დაეწყოთ ჯვარი. სიურპრიზი მართლაც საუცხოო გამოდგა. სიდედრმა სიყვარულით საგვე თვალებით გადახედა თავის ქმარს:

— ეს ჩემმა მეუღლემ მომართვა საჩუქრად ვერცხლის ქორწილისათვის... თანაც დღეს ყინულზე ბალეტის გაღმოსვენა, რაღაც გადასარევეად უჩვენებს!..

გაკრიალეულ მაგიდაზე ახალი ფერადი ტელევიზორი ბრწყინავდა.

მე უხმოდ ჩავეშვი რბილ სავარძელში, სიმამრის გვერდით.

ტელეგადაცემა დაიწყო.

ტელე ეპრანაძე

სტვირი

კაცი ვიცი:

ზეარესაგან

ვერ გაარჩევს მტილს.

კრიტიკოსი კი შევარქვით,

გვირჩევს ენას, სტილს.

ყალბ ფეხის ხმას აყოლილი,

ცუდად მართავს ტირს,

სატირალზე იცინის და


საცინარზე სტირს...

ვაი,

ასეთ კრიტიკოსს და

სხვის ჩასაბერ სტვირს!

ჯაჰარია შერაზადიშვილი



— კაი სამსახურს რომ მიშვობთ, გაგაღვიძეთ!



ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ზ. ბოლქვაძე, ი. თაბაგარი, გ. მურგული, მ. მღვიმეშვილი, მ. ხარაიძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლუჯანიძე (პ. მ. მღვიმეშვილი), ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ნ. ნიანგი.

მ. ნიუნინიძე (მთ. რედ. მოადგილე) ნ. ზემელიძე, მ. ფიცხსხლასა, თ. გელიძე, მ. გომიძე და იუმირსი შურანი „ნიანგი“.

ტექნიკური რედაქტორი მ. კახალაშვილი, მ. კახალაშვილი, მ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საქართველოს პარლამენტი 70x108/18.

გამომცემლობა, მ. ბადაცაძე სააქტობა 25/IX-74 წ. ხელმოწერილი დასაბამად 21/X-74 წ. ქალაქის ფონი 70x108/18.


ფინანსური რედაქტორი მ. ზემელიძე, მ. ფიცხსხლასა, თ. გელიძე, მ. გომიძე და იუმირსი შურანი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საბჭოთავის ცენტრის ბინის საბაზა, ტიპოგრაფია „ნიანგი“.

ტიპოგრაფია „ნიანგი“, ტიპოგრაფია „ნიანგი“.

ტელეფონები: 99-76-69, 98-19-49, 98-10-78, 98-49-82.

— ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირიდან მოსწავლეები გაწუხებთ: მოგესხნებათ, ზღვის პირას წვიმა ხშირად მოდის. ჰოდა, მაშინ ჩვენს გზაზე ვეღარავინ გაივლის.



— ეს გზა მარტო მოსწავლეებისთვისაა?
— არა! ამ გზაზე, თუკი ამას გზა ჰქვია, დამსვენებლები, ტურისტები და ადგილობრივი მცხოვრებლებიც დადიან. გარდა ამისა, სკოლია კლუბში მოძველებულ სკამზე დაჯდომისა გვემინია, წვიმიან ამინდში კინოს გაშვება არ ხერხდება, თავზე გვაწვიმს, ზაფხულობით სასმელი წყალი გვენატრება.

მაცაა, ჩვენს ახალგაზრდობას სოფელში გული რომ არ უდგება...

— გისმენთ, გისმენთ! გააგრძელეთ!

— სამედიცინო დახმარება რა სახსენებელია: არც მედიკამენტი, არც ექიმი და ექიმი ხომ, კარგა ხანია, თვალითაც არ გვინახავს.

— ჯანმრთელად იყავით, ღმერთმა ექიმი ნუ დაგაჭირვოთ!

— პატივცემულო ნიანგო! გორის რაიონის სოფელ სობისის მცხოვრებთა სახელით გირეკავთ: არა გვაქვს კლუბი, ბიბლიოთეკა, არაერთი კულტურული გასართობი ამიტომ

— ვრეკავთ თბილისიდან, ნოსტეს ქუჩიდან. განა ვინმე წარმოიდგენს, რომ ლენინის რაიონში არის ისეთი ქუჩა; სადაც ელექტროგანათება არაა?
— ეტყობა გიდაცას წარმოუდგენია.
— მერე, ჩვენ რა ვქნათ?
— ვიპოვოთ ის კაცი.

— ალო, ნიანგია?
— დიას!

— ჩვენ ახალგაზრდობა ვართ, მცხეთის რაიონიდან.

— ხმა ამოიღეთ, არ ისმის!

— უწყლობა პირი ისე გაგვიშრო, ხმანაღლა ვეღარ ვლავარაკობთ. წყალს მეზობელი სოფლიდან ვიზიდებით, ეს მეზობელი სოფელი კი 5 კილომეტრითაა დაშორებული ჩვენგან. საყვარელო ნიანგო! იქნებ დაგვეხმარო და ჩვენი ხმა მიაწვდინო, სადაც წყლის სათავეა!

ნ. ხ. ზ. ფორჩხიძისა



„ღუმბი“

ეკიბრაქები

დაუნახავს

შედი, შერისხე შენი შეფი—შავგულა ჭინი, რომ აქვს ყოველი სიკეთის და სიმაღლის ჭინი, „ათას ერთ ღამის“ სამყაროდან მოსულ კუჭავს, სულ ხინჯს რომ ეძებ, ჩვენს წინსვლაზე ღრჭუ თვალებს ხუჭავ?
უნდილ კაცს

ერთი ყოფილა ყოველ დროში უნდილი კაცი, არ შეუცვლია ხასიათი ზოილის მოდგმას. სადაც გაივლი, ჩაგესობა ხენში ქაცვი, არც შრომას გაცდის, არც სიმშვიდეს, არც სულის მოთქმას!

გასახტდენილს

თუ ციტატების შეკრებაა შენთვის მწერლობა, მწერლად იქცევა შენნაირი ბევრი მჭლახნელი! რაც გინდა გერქვას, ხარ ნაზარა, დაუგანხელი, კბენას შეეშვი, შეარჩიე რამე ხელობა!

ანონიმს

სადაც გაივლი, ანონიმო, ამოდის ნარი ლექვეც იხარებ, თუ სინდისი იქცა აირად! ათასნაირი სახმელი გავს ტვინში გამჭლარი, ლექსიც ამიტომ გაგირითმე ასეთნაირად!

კონტროლი

ამბერკიმ ვალდებულება აიღო, თავის ჩარხთან დადგა და აღებული ვალდებულების განაღდებას შეუდგა. ერთ ადგილას იფიქრეს: „ამბერკიმ ვალდებულება კი აიღო, მაგრამ როგორ ასრულებს, ნეტავიო?“ გამოჰყვეს ამბერკის მუშაობის შემმოწმებელი კომისია. მეორე ადგილას იფიქრეს: „ამბერკის მუშაობის შემმოწმებელი კომისია რას აკეთებს, ნეტავიო?“ გამოჰყვეს ამბერკის მუშაობის შემმოწმებელი კომისიის შემმოწმებელი კომისია. მესამე ადგილას იფიქრეს: „ეს ორი კომისია რომ გამოყავით, რას აკეთებენ, ნეტავიო?“ გამოჰყვეს ამბერკის მუშაობის შემმოწმებელი და იმ კომისიის მუშაობის შემმოწმებელი კომისიის მუშაობის შედეგების შემოწმებელი კომისია. ერთ მშვენიერ დღეს ეს სამი კომისია წამშობებით, კომპასებით, დაფდაფებით, ტრანსპარანტებითა და ფოტოაპარატებით შეიარაღებული მიადგა ამბერკის სამუშაო ადგილს. ჩარხზე ქალაქის ნახევი იყო გაკრული, ზედ გაკრული ხელით ეწერა: „გამგზავნეს საკონტროლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. არ ვიცი, როდის დავბრუნდები. ამბერკი“.

ფუნჯის დიდებულ ოსტატთა ქმნილებები რომ ფადაუდებელია, ეს მხოლოდ ხელოვნების თაყვანისმცემლებს არ მოეხსენებათ. კარგად იციან ეს ქურდებმა და განგსტერებმაც. დასავლეთის ქვეყნებში დღითიდღე მატულობს შედეგთა გატაცება. 1973 წელს ეს ციფრი გაორმაგდა. ვნახოთ, რა „რეკორდს“ დაამყარებს 1974 წელი...



— ო, მადონა, ნუ დამიფარენ... შენი მოპარვისათვის!


ჩილეში საპარობილები და საკონცენტრაციო ბანაკები შენდება სკოლებისა და საავადმყოფოებისათვის გამოყოფილი თანხებით.



ნ.ბ. ბ. ლომიძისა

უკომენტაროდ

**უცხოური
მყვანი**



**უცხოური
მყვანი**

